ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1436270

ნომერი: AR1244254

თარიღი : 14.08.2014

გაცემის თარიღი : 15.08.2014

გაცნობის თარიღი : 15.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ყოფ. მეაბრეშუმეობის სამეც/კვლევ. ინსტიტუტის ტერიტორია, (ნაკვეთი N 013/416) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ესიავა პ/ნ 01024008854
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 37 ბ. 34

ორგანიზაცია:

- შპს ლეი ტექ კოდი: 205075416

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014წ. #1147002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ.თბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/14/2014წ. #AR1244254 განცხადებით მომართა შპს „ლეი ტექ“–ის (ს/კ 205075416) დირექტორმა ლევან ესიავამ და მოითხოვა სამსახურის 28.02.2014წ. #1147002 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 28.02.2014წ. #1147002 ბრძანებით ქ. თბილისში, ყოფ. მეაბრეშუმეობის სამეც/კვლევ. ინსტიტუტის ტერიტორია, (ნაკვეთი #013/416) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.72.14.013.416) შეთანხმდა საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 28.02.2014 წლიდან 28.08.2015 წლის ჩათვლით.

განმცხადებლის ინფორმაციით, პროექტის შეთანხმებისას არასწორად იქნა დათვლილი გარკვეული ფართობები და გამომდინარე აქედან, ისინი არ ემთხვევა შეთანხმებულ გეგმებზე მითითებულ ფართობებს. კერძოდ, შესაცვლელია საოფისე (ნაცვლად 623,25 კვ.მ–სა უნდა იყოს 597,77 კვ.მ), საზაფხულო (ნაცვლად 36,49 კვ.მ–სა უნდა იყოს 36,5 კვ.მ), სარდაფის (ნაცვლად 134,13 კვ.მ–სა უნდა იყოს 163,82 კვ.მ), კიბის უჯრედისა და სადარბაზოს (ნაცვლად 20,09 კვ.მ–სა უნდა იყოს 161,97 კვ.მ) ფართობები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავებულია საერთო ფართობიც, რომლის ციფრობრივ მაჩვენებელს შეადგენს 960,06 კვ.მ. 813,96 კვ.მ–ს ნაცვლად.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. დღეისათვის წარმოდგენილია გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და სამსახურს მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს ლევან ესიავას 08/14/2014წ. #AR1244254 განცხადება.

2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014წ. #1147002 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო, საოფისე, საზაფხულო, სარდაფის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართობი: 960,06 კვ.მ.
- საოფისე ფართობი: 597,77 კვ.მ.
- საზაფხულო ფართობი: 36,5 კვ.მ.
- სარდაფის ფართობი: 163,82 კვ.მ.
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 161,97 კვ.მ

3.ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.02.2014წ. #1147002 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის

28.02.2014წ. #1147002 ბრძანებასთან ერთად;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.